140
1938

პიონერი

1938 წ.

№5

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცამეტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქ. განსახკომის ერთთვიური ჟურნალი.

მაისი 1938 წ. № 5

საქ. სსრ ცაკის გამომც.—„კომუნისტი". რედაქციის მისამართი თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ.—3—02—61

შინაარსი

გვ.

1. ალიო მაშაშვილი,—მაისი (ლექსი) 1
2. ბ. ივანტერი,—სტალინის სამშობლოში (ნარკვევი) თარგმანი ნინო ნაკაშიძისა . 2
3. ირაკლი აბაშიძე, — პირველი მაისი (ლექსი) 5
4. ნ-ლი,—ამომრჩეველი (ნარკვევი) 6
5. გიორგი ქუჩიშვილი,—დიადი დღე (ლექსი) 8
6. ლავრენტი ჭიჭინაძე,—ჯირითი (მოთხრობა) 9
7. ნ-ლი,—ბავშვთა საყვარელი თეატრი (წერილი) . . . 12
8. ლიდია მეგრელიძე,—სიმღერა პირველ მაისზე (ლექსი) . . . 13
9. პიონერთა შემოქმედება 14
10. ლ. კახიანი,—პაპუასები (წერილი) 15
11. ნორჩი ქიმიკოსის კუთხე 16
12. გასართობი . . . . გარეკანის მე-3 და მე-4 გვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვარ—ი. ქოქიაშვილის და დონის მიერ

პასუხისმგებელი რედაქტორი—ელ. აგლაძე   პასუხისმგებელი მდივანი—ნ. სირბილაძე

მთავლიტი 374   შეკვ. № 415   ტირაჟი 10.150   სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო მაშაშვილი

მაისი

მაისია! ჩემს ქვეყანას
ცა დაჭყურებს გასარკული,
ყოველ ბაღში, ყოველ კვირტში
სიცოცხლეა ჩასახული.

რა სურნელით შემოსულა
ეს ახალი გაზაფხული,
დიდება მას, ვისაც ეს დღე
ჰქონდა მიზნად დასახული,

ვინც რომ ნატვრა აისრულა
სიყრმიდანვე განზრახული,
ხალხს მაისი გაუთენა,
ეს ნამდვილი გაზაფხული!

3380

ბ. ივანეერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინის სამშობლოში

გამოცდაზე

მიუხედავად ყველა თავისი ნაკლოვანებისა, საჯულიერო სასწავლებელი სკოლა იყო და ცოდნას იძლეოდა. სოსო ჯუღაშვილს ცოდნა სჭირდებოდა და სწავლობდა ისევე ბეჯითად და გულმოდგინედ, როგორადაც შემდეგშიაც აკეთებდა ყველაფერს. სწავლობდა არასაყვარელი მასწავლებლებისაგან და ცდილობდა ყველაზე უკეთ, თვითონ მასწავლებლებზე უკეთაც კი სცოდნოდა, როგორც ეს დაგვანახვა ბუტირსკისა და ილურიძესთან მომხდარმა ამბებმა.

ძველ სკოლაში იყვნენ აღმომჩენნი და გამომგონებელნი „შპარგალკებისა“ და კარნახის დარგში. ძნელი ჩამოსათვლელია ყველა ის, რასაც ჩადიოდნენ მოსწავლეები, რომ თავი დაეღწიათ და მოეტყუებინათ მასწავლებლები. სასულიერო სასწავლებელში, ისე, როგორც სხვა სასწავლებელშიაც, მოწაფეები „უშპარგალკოდ“ იოლად ვერ გადიოდნენ. მოწაფე, რომელიც არ კარნახობდა უცოდინარს, ცუდ ამხანაგად ითვლებოდა.

სოსო საუცხოო ამხანაგი იყო, რაც არაერთხელ დაუმტკიცებია, ის თავისი კლასის სიამაყე იყო. სოსო პირველი მოწაფე იყო, მაგრამ არა ისეთი, რომლებიც ელაქუცებიან მასწავლებლებს, გაურბიან ამხანაგებს და ყველაზე მეტად კარგ ნიშნებს აფასებენ. მან პირველობა მოიხვეჭა არა მარტო მასწავლებლების თვალში, არამედ ამხანაგებშიც.

ის სწავლაშიც და თამაშობაშიც თავისი კლასის მეთაური იყო.

სოსო არასოდეს არ კარნახობდა, და კლასიც პატივისცემით ეპყრობოდა მის პრინციპიალობას. ჩვენთვის უკვე ცნობილი პეტრე ადამაშვილი სწავლაში ერთობ ზარმაცი და უზრუნველი იყო. იგემებდა თუ არა მამის მათრახებს, პეტოს მაშინვე ავიწყდებოდა მისი დარიგება, და კლასში არ იყო მოწაფე, რომელსაც ისე ძალიან დასჭირებოდა „შპარგალკა“ და კარნახი, როგორც პეტრე ადამაშვილს.

დადგა გამოცდები, მძიმე განსაცდელი უზრუნველი ყმაწვილებისათვის. პირველ მერხზე ზის სოსო, უკან ზის პეტრე. პეტრემ იცის, რომ სოსო პრინციპიალურად არ უკარნახებს, მაგრამ ვინ გამოიყვანს მას გაჭირვებიდან, თუ არა სოსო.

ჩურჩულით ევედრება პეტრე სოსოს და სთხოვს უკარნახოს გაჭირვების დროს.

სოსოს არ ესმის.

ჩქარა გამოიძახებენ.

სოსოს არ ესმის.

პეტრეს მშვენიერი ფართე ქამარი არტყია წელზე, სოსოს მოეწონა გუშინ. პეტრე აწვდის მას ხელში ქამარს — სოსო ვერ ხედავს ქამარს.

პეტრემ დაუდვა წინ თავისი ყველაზე ძვირფასი განძი — ქარვისტარიანი ჯიბის დანა. სოსომ იქით გასწია დანა. სოსოს არ ესმის და ვერ ხედავს ვერაფერს. ბოლოს მოტრიალდა პეტრესაკენ.

— არ შემიძლია გიკარნახო. გიკარნახებ — უსწავლელი დარჩები, უვარგისი ადამიანი იქნები.

— არა, ვისწავლი, დედას გეფიცები, მხოლოდ დღეს გამომიყვანე გასაჭირიდან.

— არ შემიძლია. დღეს გამოგიყვან გაჭირვებიდან, ხვალ — და შეეჩვევი. ცუდი ჩვეულება დაგღუპავს.

პეტრე უღონოა. ვერ უარყოფს სოსოს მშვიდ ფილოსოფიას. ის რაღაც რკინის ადამიანია: ვერაფრით ვერ მოალბობ.

მეორე დღეს პეტრე ხედავს, რომ სოსო გაცხარებით უხსნის რაღაც საგანს სუსტი ბავშვების ჯგუფს. სოსო თვითონ კისრულობდა ჩამორჩენილი ბავშვების დახმარებას.

დაინახა თუ არა პეტრე, სოსომ დაუძახა:

— მოდი აქ, პეტრე, მოდი,დავეწიოთ, რომ ხელმეორედ არ ჩაიჭრა. პეტრემ პირი მიიბრუნა.

— არ გინდა და ნუ გინდა. შენთვისვე უარესია. გამოცდაზე კი სულერთია არ გიკარნახებ.

ეს შემთხვევა ამასწინათ გვიამბო თვითონ „დაზარალებულმა“ პეტრე ადამაშვილმა.

მტკვრის პირად

ორი მდინარე — ლიახვი და მტკვარი — ზედ ქალაქთან, სკოლის გალავანთან ერთვის ერთმანეთს. სწრაფი ძლიერი მტკვარი იერთებს ლიახვის წყალს და კიდევ უფრო მძლავრი და დიდი ხდება.

აქ, ორი მდინარის შესართავთან, გორელი ბავშვების საბანაო ადგილია. ტალახში ამოთხუპნული, ველურებივით აჭრელებული ბავშვები გარბიან რიყეზე, გორაობენ ცხელ კენჭებზე და ჭყუმპალობენ ლიახვში. ზოგი კი, რომელიც უფრო ღონიერი და თამამია, მტკვარშიც ჩადის. წყლის მდინარება ნაპირიდანვე იტაცებს მამაცს, და დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ბრაზიანმა მტკვარმა ქვებზე არ მიახეთქოს სადმე თავზეხელაღებული ბიჭები. შორს,

ქვემოთ, მეორე ნაპირას ამოდიან ყოჩაღი ბიჭები, ნაპირნაპირ მორბიან უკან, ისევ ხტებიან წყალში, და ისევ მიაქვს ისინი წყლის მდინარეობას ლიახვის შესართავთან.

აქ ბანაობდნენ სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებიც სოსო ჯუღაშვილის მეთაურობით. ეს პატარა, მაგარი ბიჭი პირველი ჩახტებოდა ხოლმე მდინარეში, ცურვით გადაჭრიდა მას რამდენიმეჯერ, მერმე კი, მტკვართან ბრძოლაში გამარჯვებული, გაწვებოდა ბავშვებთან ერთად ცხელ კენჭებზე. ბიჭებში ვერავინ ვერ ცურაობდა სოსოზე უკეთ. მის მეტოქეებად ითვლებოდნენ მხოლოდ მისი კლასის ამხანაგი დორმიდონტ გოგოხია და უკვე მოზრდილი, გორის ჩემპიონად ცნობილი, მიხა მიქაძე.

აქ, მტკვრის ნაპირას, ბავშვები იგონებდნენ ათასნაირ თამაშობას: თამაშობდნენ კოჭს, ოთურმას, ბურთს, რბოდნენ, რომ ერთმანეთისათვის გაესწროთ, და ყველა ამ თამაშობაში, როგორც ცურაობაში, როგორც სწავლაში, პირველი იყო სოსო ჯუღაშვილი. თუ თამაშობაში ბავშვები იყოფოდნენ პარტიებად, ის მხარე მოიგებდა ხოლმე, რომელსაც ხელმძღვანელობდა პატარა, გამხდარი და მარჯვე ბიჭი სოსო.

სოსო მოიზარდა. 13—14 წლის რომ გახდა, მას აღარ აინტერესებდა სკოლის ეზოში გამარჯვება. იქ სულ მუდამ ებრძოდნენ ერთმანეთს ბავშვები: ჯგუფი ჯგუფს, კლასი კლასს. სოსოს ხშირად უხდებოდა უფროს კლასელებთან შეჯახება, და ამბობენ, ისე სწრაფად დაუშენდა მუშტებს, რომ მოწინააღმდეგეს სულის მოთქმის საშუალებასაც არ აძლევდაო. სოსომ კარგად იცოდა თავის დაცვა. შინნაკეთი იარაღით შეიარაღებული თამაშობდა ის ბავშვებთან ყაჩაღ არსენას. არსენა ქართველების რობინ გუდია, ჩაგრულთა დამცველი, მამაცი, უანგარო ყაჩაღი.

ამხანაგებს ახსოვთ სოსო, როგორც უსამართლოდ დევნილი ბავშვების მუდმივი დამცველი. განსაკუთრებით ვერ ითმენდა ის, როდესაც პატარა, ან სუსტ მოწაფეებს სცემდნენ. ასეთი ჩხუბის მოტრფიალენი ყოველ სკოლაში არიან. სოსო ყოველთვის მათი წინააღმდეგი იყო.

თამაშის დრო თავდებოდა, სხვა აზრებმა გაიტაცეს იგი. ის ბევრს ფიქრობდა და ცოტას ლაპარაკობდა. მან შეიყვარა წიგნები.

მღვიმის ქალაქი

შვიდი კილომეტრის დაშორებით გორიდან, თბილისის გზაზე არის ძველისძველი მღვიმის ქალაქი უფლისციხე. ამ უფლისციხისაკენ გაემგზავრა ერთხელ სასულიერო სასწავლებლის მოწაფეების ექსკურსია. სოსო ჯუღაშვილიც იმათთან იყო.

მოწაფეებმა წაიღეს საგზალი და ზედამხედველ თინიკაშვილთან ერთად გამოვიდნენ გორიდან. თინიკაშვილი ფრთხილი კაცი იყო და თან რევოლვერი წაიღო, თუმცა არც მგლებისა და არც ყაჩაღების შიში არ უნდა ჰქონოდა გზაში ექსკურსიას.

გაიარეს სასაფლაო და შეუდგნენ მზისაგან გადამწვარ სერს. ექსკურსია მხიარულად მიდიოდა, მღეროდნენ, აფრთხობდნენ ხევების ფერდობებზე დაბუდებულ ძერებს, ისროდნენ ქვებს ბორცვების ძირას მიმავალ მტკვარში. ფერდობზე ცხვრის ფარა ბალახს სძოვდა. მწყემსი კი არსად ჩანდა. პეტრე ადამაშვილმა დაიჭირა ერთი ცხვარი და ზურგზე შეაჯდა. პეტრეს სხვებმაც მიბაძეს და დაიწყეს ცხვრებით სეირნობა. მაგრამ ამ დროს გამოხტა მწყემსი, და ბავშვები გაიფანტნენ.

მალე მათ თვალწინ გადაიშალა უფლისციხე. ბუნებრივად დაკბილული კლდოვანი მთა ნამდვილ ციხესიმაგრეს ჰგავდა, და რამდენადაც უახლოვდებოდნენ ბავშვები, ეს მსგავსება მით უფრო ცხადი ხდებოდა.

უფლისციხე უკვე ახლოს იყო. საჭირო იყო ერთ ხევზე გადასვლა. ექსკურსანტები დაეშვნენ ხევის



მღვიმის ქალაქი. ქვევით — სოფელი „უფლისციხე"

ფსკერზე. ფსკერზე კი მირბოდა მღვრიე და კარგა განიერი ღელე. ერთი ბიჭი შეეცადა გადახტომას, მაგრამ ვერ გადახტა და წყალში ჩავარდა. მოწაფეებმა იწყეს ფეხის გახდა. ბევრი სიარულის შემდეგ სასიამოვნო იყო მიმდინარე წყალში ფეხების ტყაპუნი და ღელის შლამიან ფსკერზე სიარული.

ზედამხედველი თინიკაშვილი იდგა ნაპირას და არ იცოდა რა ექნა: გადახტომის ეშინოდა, წყალში არ ჩავვარდეო, ფეხის გახდა კი მოწაფეების წინაშე ზედამხედველს უხერხულად მიაჩნდა.

სოსომ შეხედა და გაიღიმა, შემდეგ გადახტა მეორე ნაპირას.

— ყოჩაღ! — შეაქო სოსო ზედამხედველმა, მაგრამ თვითონ გადახტომა მაინც ვერ გაბედა.

მაშინ ერთმა უფროსმა მოწაფემ, სოსოს მეგობარმა, იხსნა გაჭირვებისაგან ზედამხედველი. ის ჩადგა შუა ადგილას ღელეში, დაიღუნა, თინიკაშვილი ზურგზე შეადგა და მეორე ნაპირას გადავიდა. მოწაფეებს გაეცინათ, სოსომ კი უსაყვედურა:

— ვირი ხარ თუ რა? არა თუ ზედამხედველს, თვითონ ღმერთსაც არ მოვუდრეკდი ზურგს.

მიადგნენ უფლისციხის გალავანს — დიდ, მაღალ ქვის კედელს. ვერ გამოიცნობ, მაღლა ფანჯრებია თუ სანგრები გამოკვეთილი, ან იქნება კლდეა ამნაირად გამონგრეული. ზევით მიჰყავხარ დამრეც აღმართს ქვისმოაჯირიანი გალავნის გასწვრივ. ასვლა ადვილია: ფეხქვეშ საფეხურებია, რომლებიც დროს იმდენად გადაულესავს, რომ ძლივს ეტყობა, თითქოს საფეხურების ლანდი დარჩენილა ქვის გზაზე შუაში ღარივით.

ადიხართ მაღლა, და უცნაური სანახაობა იშლება თქვენს თვალწინ. ირგვლივ უზარმაზარი ქვებია, ისეთი სახის, რომ დაგაფიქრებს: კაცმა გამოთალა ეს საგანგებოდ, თუ ქარის ნამუშევარია? შედიხარ ერთ მღვიმეში, მეორეში და ხედავ, რომ აქ ადამიანი დახმარებია ბუნებას, გადაუკეთებია, გამოუთლია ქვები, გაულრმავებია კლდის კედელი. მოულოდნელად გადიხარ ერთ მღვიმიდან მეორეში, გადაძვრები პატარა რგვალ ფანჯარაში სიბნელეში და უცებ ხედავ, რომ ნახევრად ბნელ, გრილ, დიდგუმბათიან დარბაზში ხარ. და ამ ბინდბუნდში ისახება სვეტის ნაწილი, რომელიც გამოუკვეთია ტლანქს, მაგრამ ხელოვან, მცოდნე ხელს, ნამდვილი მოქანდაკის ხელს.

შედიხარ რგვალგუმბათიან მღვიმეში, დაილაპარაკებ და ვერ ცნობილობ შენს ხმას, ისე ზეიმურად და გუგუნით ისმის ირგვლივ. ეჭვი არაა, რომ ეს ტაძარია, მაგრამ რა ხნისაა! რამდენი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ხალხმა მიატოვა ეს ზღაპრული ქალაქი!

საოცარი ხელოვნების კვალი აჩნია მღვიმეების კუთხეებს. გუმბათებზე კიდევ დარჩენილა ორნამენტები, რომლებიც ბიზანტიურსა ჰგავს.

მთელ ამ ქალაქში არ მოიპოვება არც ერთი კუთხე, სადაც ძველი დროის ადამიანს დაერღვიოს ბუნების მიერ შექმნილი ქვისა და ჰაერის საუცხოო ურთიერთობა.

უფლისციხის შესამკობლად სოსო ჯუღაშვილმა ლექსი დაწერა.

ულმერთონი სასულიერო სასწავლებელში

საქართველო მშვენიერი სიმღერების ქვეყანაა. ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია ქართული სიმღერა, ვერ დაივიწყებს მას. ქართული მელოდია უერთდება საქართველოს ბუნებას.

საქართველოში, სადაც იციან კარგი სიმღერის დაფასება, გორის სასულიერო სასწავლებელს დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. გორში თეატრი არ იყო. და დღესასწაულზე სასწავლებლის პატარა ეკლესია ხალხით ივსებოდა, რომ მოესმინა სკოლის გუნდის გალობა. გუნდს ხელმძღვანელობდა გალობის მასწავლებელი სიმონ გოგლიჩიძე. სიმონი, ეტყობა, საუცხოო პედაგოგი იყო, მას უყვარდა თავისი საქმე და ამავე დროს ნამდვილი მუსიკალური ადამიანი იყო. მისი გუნდი გალობდა ჩაიკოვსკისა და ბორტნიანსკის ნაწარმოებებს. მას უყვარდა ხალხური სიმღერებიც. მათ, რომლებსაც გაუგონიათ სიმონის მოწაფეების სიმღერა, აქამდის ახსოვთ ტრიო, რომელსაც სიმონი ასწავლიდა ბავშვებს. ახსოვთ, როგორ წკრიალებდა სიჩუმეში ბავშვის მაღალი, წმინდა დისკანტი — ეს იყო სოსო ჯუღაშვილის ხმა, რომელსაც მარტო უნდა ჩაეტარებინა სიმღერა.

სიმონ გოგლიჩიძემ მაშინვე შეატყო, რომ სოსოს წმინდა, ძლიერი ხმა და აბსოლუტური სმენა ჰქონდა, რომ ბავშვი მგრძნობიარე ბუნების პატრონი იყო და ამიტომ იპყრობდა მისი ხმა მსმენელებს. სიმონ

გოგლიჩიძე წინასწარმეტყველებდა, სოსო მომღერალი გახდებაო. სხვათა შორის, ერთი მოწაფე შემდეგ მართლაც ცნობილი გახდა მთელს კავშირში—ეს არის ორდენოსანი სანდრო კავსაძე, მოსკოვში ჩამოსული აღმოსავლეთ საქართველოს გუნდის ხელმძღვანელი. სანდრო კავსაძე და სოსო ჯუღაშვილი ერთ დროს გალობდნენ სასულიერო სასწავლებლის გუნდში.

აბა საკვირველი როგორ არ არის, მაგრამ სასწავლებელმა, რომელსაც სახელი ჰქონდა გავარდნილი თავისი სასულიერო საგალობლებით, სასწავლებელმა, სადაც უნერგავდნენ ხუცების შვილებს ღვთის, სასოებას, მოამზადა სემინარიაში შესასვლელად ულმერთონი, ათეისტები, როგორიც იყო შემდგომ ცნობილი ბოლშევიკი ლადო კეცხოველი და როგორიც გახდა, როდესაც 14 წლისა შესრულდა, სოსო ჯუღაშვილი.

ლადო კეცხოველი სამი თუ ოთხი კლასით წინ იყო სოსოზე. ლადო სოფლის მღვდლის შვილი იყო. მის მამას ექვსი შვილი ჰყავდა. ლადოს უფროსი ძმები მამის სახლიდან წავიდ-წამოვიდნენ უკეთესი ცხოვრების საძებრად. შვიდი წლის ლადო მიაბარეს სასულიერო სასწავლებელში.

არდადეგების დროს ლადო შინ მიდიოდა. იქ, სოფელში, მამამისის სიღარიბე, მშიერი და უფლებაახდილი გლეხების ცხოვრებასთან შედარებით, სიმდიდრეს უდრიდა. გლეხებს ყვლეფდა ყველა, ვინც მათ კისერზე აჯდა: მემამულეები, თავად-აზნაურობა, სამაზრო ხელისუფლება, პოლიციელები. ლადო რომ მოიზარდა, მამას ეჩხუბებოდა: გლეხებს ხომ მღვდლის რჩენაც უხდებოდათ. ლადო კიცხავდა მამას, რომ დასაფლავებისა და ქორწილისათვის ფულს ახდევინებდა გლეხობას. შემდეგ კიდევ უფრო შორს წავიდა და გლეხებს უმტკიცებდა, სრულიად არ გადაიხადოთ საეკლესიო გადასახადიო.

სასწავლებელში ლადო ბევრს კითხულობდა, კითხულობდა ისეთ წიგნებს, რომლებიც სასწავლებლის უფროსებისაგან აკრძალული იყო. ამხანაგებმა იცოდნენ, რომ ლადოს ღმერთი არ სწამდა და შეშინებულნი ისმენდნენ მის სიტყვებს, რომლებიც პირველ ხანებში თავზარს სცემდა მათ და ღვთის გმობად მიაჩნდათ. მაგრამ ლადო ხუმრობასა და მხიარულ ისტორიებს ჩაურთავდა ხოლმე ღმერთის არსებობის საწინააღმდეგო სერიოზულ საბუთებს.

ლადოს მოთხრობილი ამბების, შემდეგ ბავშვებს იმდენად აღარ ეშინოდათ ღვთის რისხვის და როგორც კი მოახერხებდნენ, ცდილობდნენ თავი დაეღწიათ დაუსრულებელი და მოსაწყენი ღვთისმსახურებისაგან. თუ გაპარვას ვერ მოახერხებდნენ, იმ შემთხვევისათვის მზად ჰქონდათ ეკალი, იჩხვლეტდნენ ცხვირში, სისხლი წამოუვიდოდათ და მაშინ კი შესაძლებელი ხდებოდა წირვიდან და საღამოს ლოცვიდან წასვლა.

ღმერთმა არც ერთხელ არ დასაჯა ამისათვის ბავშვები, მაგრამ წყეული ბუტირსკი ბოლოსა და ბოლოს მიხვდა, რისთვისაც იწვევდა წირვა-ლოცვა ასე ხშირად ცხვირიდან სისხლის დენას და არაფრის გულისათვის აღარ უშვებდა ბავშვებს ეკლესიიდან.

თარგმანი **ნინო ნაკაშიძისა.**

1 მაისი

ირაკლი აბაშიძე

მე ყოველ წელს მახარებს
გაზაფხულის ყურება,
ამ მაისის წინაშე
მეც მაქვს დამსახურება.

მოვა, მიმღვნის თაიგულს
ფერადფერად ვარდებით.
ვეგებებით ერთმანეთს,
მიყვარს, და ვუყვარდები,

მიყვარს, იქნებ მაგიერ
იგიც ზღვენით მზად არი,
მიყვარს, როგორც სამშობლოს
მსგავსი და შესადარი.

ამ ყვავილებს ფერთიანებს,
ათასფერად შეკრულებს,
ალმათ, სხვებსაც ურიგებს, —
საბჭოეთის ერთგულებს.

და თუ კვლავაც იფიქრებს
ჩემთან ზღვენით იაროს,
რა მაქვს...
ლექსებს მივართმევ
ვარდის სამაგიეროს.

ნ.—ღი

ბაძომოჩყყლოი

—შენ, ჩემო საყვარელო შვილო, გუშინ მეათეჯერ მაინც მთხოვე — მიამბე რამე შენი წარსულიდანო მე ერთი შემოგხედე, თავი დავხარე და არაფერი გიპასუხე. კვლავ გაგაწბილე ცნობისმოყვარე ბიჭი, ჩემი ძვირფასი მომავალი, ჩემი იმედი.

რა ვქნა, გული, ეს მრავალ ცეცხლში გამოვლილი გული, არ მემორჩილება ყოველთვის. რაღაც გამოუთქმელი სევდა დამეუფლება ხოლმე წყეული წარსულის მოგონებისას და სულს მიფორიაქებს.

აი, ახლაც, როდესაც მეხსიერებაში ჩემი ახალგაზრდობის დღეები წამოიშალნენ, ასე მგონია, თითქო სიბნელეს ვხედავდე, თუმცა ოთახში სინათლეა, ფანჯრებიდან გაზაფხულის სურნელება შემოდის.

ამ გაზაფხულის დღესავით სხივოსანი და ლამაზია შენი ბავშვობა, ჩემი კი... პირქუში და ცივი, სუსხიანი ზამთარივით. რამდენი სიმწარე, რამდენი ვაება განმიცდია პატარობისას! ჯერ კიდევ ადრე, როდესაც ენა ამოვიდგი, მხოლოდ შიმშილი ვიგრძენი პირველად.

—დედა, პური, — დავიძახებდი ღონემიხდილი ბავშვი.

თვალცრემლიანი დედა გულში ჩამიკრავდა და მეფერებოდა. მაგრამ მისი ტკბილი ალერსი მხოლოდ წამით თუ გადამავიწყებდა წუხილს და შემდეგ ისევ დავიკნავლებდი:

—დედა, პური—იი...



და დედა მიდიოდა მეზობელთან პურის სასესხებლად. მიდიოდა, თუმცა ხშირად ხელცარიელი ბრუნდებოდა: მათაც არ ქონდათ რამე. მდიდრები ხომ ახლოსაც არ გაიკარებდნენ. .

ასეთ ვაივაგლახსა და გაჭირვებაში წამოვიჩიტე.

—ახლა კი ცოტა გვეშველება, გოგო მოგვეხმარებაო, — იმედიანად იტყოდნენ ჩემი მშობლები და სიყვარულით დამიწყებდნენ ყურებას.

—აბა, ქეთო, გოჭები დაამწყვდიე!

—აბა, ქეთო, ცხვრებს ბალახი მოაძოვე!—მომცემდნენ დავალებას შემდეგ, და მეც, ფეხშიშველი, ძონძებში გახვეული გოგონა, გავრბოდი ხან აქეთ და ხან იქით.

ერთხელ წყლისათვის გამგზავნეს. წამოვავლე დოქს ხელი და ფეხაკრეფით გავიპარე წყაროსაკენ: მეშინოდა, რომ მის პატრონს, ჩვენი სოფლის თავადს, არ დავენახე. მაგრამ არ გაჭრა ჩემმა სიფრთხილემ, სწორედ იმ დროს, როდესაც წყაროდან წყალს ვიღებდი, თავადი დამადგა თავს. დოქი ხელიდან გამომგლიჯა, ქვას დაანარცხა, თვალები საშინლად დამიბრიალა და ღრიალით დამიყვირა:

—შე საძაგელო გომბიოვ, გაეთრიე აქედან!

მე ცახცახმა ამიტანა და ძლივსძლივობით გამოვიქეცი მხეცის კლანჭებიდან.

შუა გზაზე შევჩერდი, ბუჩქებისაკენ შევუხვიე და დავიმალე. შინ მისვლაც მიძნელდებოდა: არც წყალი მიმქონდა, არც დოქი.

ვიჯექი ასე დაღონებული ბუჩქის ძირას.

—ქეთო, ქეთო! — მომესმა დედაჩემის ძახილი. მე უფრო გავინაბე და ერთიანად მოვიკრუნჩხე.

ალბათ, დედამ იფიქრა ბავშვი თუ ცელქობსო და გაბრაზებით დამიყვირა.

—ქეთოია, ქეთოიააა...

როცა ახლაც ვერ მიიღო პასუხი, შეშინდა და ძებნა დამიწყო. დიდხანს მეძება, მეძება და ბოლოს კიდეც მომაგნო. საწყალი! რომ დამინახა, სიხარულისაგან ერთი შეკივლა და გადამეხვია:

მე ყველაფერი ვუამბე. დედა ატირდა.

იმ ღამეს არც გვიჭამია, არც არაფერი დაგვილევია, თუმცა ძალიან გვშიოდა და გვწყუროდა.

გავიდა თვეები, გავიდა წლები. ჩვენს ბედილბალს ახალი კაციჭამიები, გამყიდველი მენშევიკები, დაეპატრონნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი შეიცვალა: არც პური მოგვცეს, არც მიწა, არც თავისუფლება.

—ჩვენ დემოკრატები ვართ, გაუმარჯოს დემოკრატიასო! — გაიძახოდნენ მენშევიკები.

მაგრამ სად იყო დემოკრატია.

შენ თვითონ დაუკვირდი, — ჭკვიანი და კარგი მოსწავლე ხარ, წითელყელსახვევიანი ბიჭი, ყველაფერს მიხვდები, გაიგებ, რასაც ახლა გიამბობ.

აი, ერთხელ სოფელში ხმა გავრცელდა: კენჭისყრა იწყება, მთავრობა უნდა ავირჩიოთო. მოვიდა ერთი მოქადაგე, შეგვკრიბა ხალხი და დაგვიწყო მტკიცება: მოქალაქენო, მენშევიკები ხალხის შვილები არიან, ხმა მიეცით მათ, აირჩიეთ ისინიო.

მოვიდა მეორე მოქადაგე. შეგვკრიბა ხალხი და გამოგვიცხადა: ფედერალისტები თქვენი საქმისათვის იბრძვიან, ხმა მიეცით მათო.

მოვიდა მესამე მოქადაგე. შეგვკრიბა ხალხი და გამოგვიცხადა: ხმა მიეცით ამადაამ პარტიასო.

მოვიდა მეოთხე მოქადაგე, შეგვკრიბა ხალხი და გამოგვიცხადა: ხმა მიეცით ამადაამ პარტიასო...

და ასე... იყო ერთი აურზაური, არეულობა, გაუგებრობა.

მერე კენჭებიც ჩამოარიგეს სოფელში. მივიდნენ ჯერ მემამულესთან, შემდეგ ვაჭართან, მღვდელთან, სოფლის თავკაცებთან და მათ ჩააბარეს კენჭები. ისეთ ღარიბებს, როგორიც ჩვენი მეზობელი ილარიონი იყო, არ მისცეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ქალებიც დაგვტოვეს.

დაინიშნა კენჭისყრა, არჩევნები, მაგრამ როგორი არჩევნები იყო: უმრავლესობამ არ იცოდა თუ ვის აძლევდა ხმას...

ახლა მწარედ მეცინება, რომ მაგონდება ეს ამბავი წყეული წარსულიდან! რა სიშორეა, რა უფსკრული!

შენ მაშინ უსუსური ბავშვი იყავი.

საცოდავი მამაშენი ავად გახდა.

—ვაიმე, ვკვდები,—ხშირად ჩიოდა ტკივილებისაგან გაწამებული, უაზროდ მიმოავლებდა თვალებს ირგვლივ და ბოლოს შენ შემოგხედავდა.

—ქეთო, გენაცვალე, —მეტყოდა, — მე ვკვდები... შემისრულე ერთი ანდერძი: ჩვენი თენგიზი, ჩვენი ბიჭუნა, კარგად გაზარდე, არავის დაარაგვრინო.

სულ მალე სამუდამოდ დახუჭა თვალები ავადმყოფმა.

მე შევკივლე, მწარედ ავტირდი, გული შემიღონდა და გრძნობა დავკარგე. გვიან რაღაც ხმაური ჩამესმა ყურში, გონს მოვედი, თავი მაღლა ავწიე. ვხედავ: ყველანი ტირიან, შენ კი ხითხითებ და გულუბრყვილოდ ტიტინებ: „მამაია, მამაია, გამოიღვიძე, გეყოფა ძილი...“

აბა რა იცოდი შენ მაშინ...

არც გაჭირვებისა გაგეგებოდა რამე. ჩემს ლუკმას შენ გაწვდიდი, გივლიდი, თავს გევლებოდი.

—ასე არ იქნება ცხოვრება,—მითხრეს ერთხელ ქალაქელმა ნათესავებმა, — წამოდი თბილისში, იქ მთავრობას ფაბრიკები აქვს გახსნილი, მიგიღებენ, დაგეხმარებიანო.

მე გავბედე, დავეთანხმე მათ.

და აი, ერთ დილით ფრთხილად მივადექი აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კარებს.

— რა გნებავთ?—მკითხეს თავაზიანად.

— მინდა მუშაობა დავიწყო თქვენთან.

— დიდი სიამოვნებით, მიგიღებთ.

მე სიხარულისაგან გავწითლდი.

— თქვენი სახელი?

— ქეთო.

— გვარი?

— მამულაშვილი.

— კეთილი. ჩვენი ფაბრიკის მუშა იქნებით.

რა მეთქმოდა. მეორე დღეს დილაადრიან მივედი ფაბრიკაში, დავიწყე მუშაობა ჯერ გაუბედავად, მოუქნელად, მაგრამ მალე გავიწაფე და კარგი მქსოველი გავხდი.

ჩემი სიხარული განუზომელი იყო, როცა წითელ დაფაზე მომათავსეს, როცა დამკვრელი მიწოდეს, როცა სტახანოველი გავხდი.

მაგრამ არასდროს, არასდროს ისეთი აღტაცება არ მიგრძვნია, როგორც გასული წლის თორმეტ დეკემბერს. რასაკვირველია, მოგეხსენება, რომ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს ვირჩევდით.

— ყველანი არჩევნებზე!

— ყველანი არჩევნებზე!—გვაფრთხილებდნენ წინადღეებში.

და გაფრთხილებაც რად გვინდოდა, როდესაც გული საარჩევნო ყუთებისაკენ მიგვიწევდა. ის კი არა, ვერ ვისვენებდით საოცნებო წუთის მოლოდინში.

დილის რიჟრაჟიც არ დამდგარიყო ჯერ ქუჩებში. მე ლოგინიდან წამოვიჭერი, ფრთხილად ავდექი, მინდოდა არ გამეღვიძებინე, მაგრამ შენ არ გამოგეპარა.

— დედა, საით? არჩევნებზე? — მკითხე თვალებგაცისკროვნებულმა.



— დიაღ, სწორედ საარჩევნო ყუთებისკენ.

— ოჰ, რა ბედნიერები ხართ. ნეტავ მეც თვრამეტი წლისა ვიყო!

— შენც მალე მოესწრები, გაივლის ოთხი წელი და... — სიტყვა არც კი დავამთავრე, ისე გავეშურე დანიშნული ადგილისაკენ.

მივედი, ვხედავ: ხალხი შეკრებილა, დარბაზში მხიარულებაა, სიცილ — ხარხარი...

რიგრიგობით მიდიან საარჩევნო ყუთებისაკენ. ეს ჩემი ჯერიც დადგა. მივიღე კონვერტი და ბიულეტენები. სიხარულით შევედი სუფთა კაბინეტში, ხმა მივეცი ჩვენი ქვეყნის სახელოვან შვილებს, კონვერტი ყუთში ჩავუშვი და უკან გამოვბრუნდი.

ჩემო კარგო! რა სიამაყეს ვგრძნობდი მე! ძნელია წარმოიდგინო ეს, როცა წარსულის საშინელება არ გინახავს.

მე ამომრჩეველი ვიყავი, უფლებით ყველას თანაბარი, ყველას თანასწორი. ო, ვინ იფიქრებდა წინათ ამაზე — მუშაქალი და ამომრჩეველი?!

იცი, ჩემო შვილო, კიდევ უფრო რა მახარებს? მე მუდამ ძლევამოსილი ვიქნები უფლებებით, ჩვენს დიდ ხალხთან ერთად შემეძლება თვალყური ვადევნო დეპუტატის მუშაობას და მივუთითო მას საჭიროების დროს...

მალე კვლავ მიმიხმობენ ყუთებთან. ეს იქნება თორმეტ ივნისს, დიად და დაუვიწყარ დღეს. წუთებს ვითვლი: როდის დადგება საოცნებო დრო, როდის შევალ კაბინეტში, როგორც ამომრჩეველი.

შენ ჯერ პატარა ხარ გაიზრდები და ნახავ, თუ რა რიგ საამაყოა აირჩიო ის ხალხი, ვინც გინდა, რარიგ საამაყოა ცხოვრობდე გაზაფხულის ქვეყანაში და იყო ამომრჩეველი!

გამოიღვიძა თბილისმა,
მზემაც არ დაიგვიანა,
ატალღებულმა ქილის ხმამ
ქუჩები აახმიანა.

აი, დაიძრნენ მასები
ამ უბნის. იმ გარემოსი,
რომ სრული თავისი არსებით
ხმა მისცენ ნდობაშემოსილთ!

რა მტკიცე, რარიგ დიდია
ხალხის სწრაფვა და ნებანი:

არჩევნებისკენ მიდიან
დღეს ყველა ერთვნებანი!

მიდიან, მიიმღერიან,
ძმურ გრძნობით გადახვეულნი,
ხელთ იტაცებენ ბერიას
შრომის ტრიუმფად ქცეულნი!

რჩეული დეპუტატია
ის მთელი საქართველოსი
და ხალხთა გულში ანთია,
ვით ხომლი ცათა სფეროში!

ლავრენტი ჭიჭინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯირითი

(დასასრული)[1]

IV.

ათას სიტყვასა და ათჯერ მეტ ფიცზე უფრო სარწმუნო იყო, როცა რომაელების ერთგულების დასამტკიცებლად ფარსმანმა მსახურებს თავნება შვილი მოაკვლევინა. ამის შემდეგ უფრო განმტკიცდა მეგობრობა იბერიელებსა და რომაელებს შორის. ფარსმან მეფეს ადრიანე კეისარმა მადლობის ნიშნად დიდი საჩუქარი გამოუგზავნა. მოხუცი მეფე უხვი საჩუქრით ფრიად გახარებული დარჩა. მაგრამ უფრო დაუვიწყარი იყო მეორედ გამოგზავნილი საჩუქარი, რომელიც შედგებოდა ერთი უზარმაზარი სპილოსაგან და რამდენიმე ასეული რჩეული რომაელი მხედრისაგან.

ისინი გემით მოადგნენ შავი ზღვის ნაპირს. გემიდან დინჯად გადმოვიდა ვეება, მსუქანი, ლაპლაპა რუხი სპილო. სპილოს გრძელი ხორთუმი ისე ზანტად ეკიდა, თითქოს დარდობდა, რომიდან საქართველოში რომ გამოეგზავნათ.

გემიდან გადმოსული მხედრები ლაზიკაში სამი დღე ისვენებდნენ. მათი ჩამოსვლა გაიგეს ლაზებმა. ყველა მათ სანახავად მიეშურებოდა, ყველას უნდოდა ენახა შესანიშნავად მოკაზმული მხედრები, განსაკუთრებით კი სპილო. ბავშვებმა არ იცოდნენ უცხო კაცების ენა, მაგრამ მაინც სიცილით სთავაზობდნენ მშვენიერ ლაზურ თაიგულებს. მოვიდა ერთი ლაზი, რომელმაც უცხო კაცებს რომაულად დაუწყო ლაპარაკი:

— მესამე დღეა, რაც თქვენ აქ დგახართ. საით მიემგზავრებით? იქნებ ინდოეთში მიდიხართ სავაჭროდ? მაგრამ თქვენ ვაჭრებსაც არა ჰგავხართ.

— არა, ჩვენ ვაჭრები არა ვართ. იბერიაში მივდივართ,—უპასუხა ერთმა რომაელმა.

— ვისთან?

— ფარსმან მეფესთან.

— ოო, ფარსმანი დიდი მეფეა.

— ჰოდა, სწორედ დიდმა კეისარმა ადრიანემ დიდ მეფეს გამოუგზავნა ჩვენი თავი საჩუქრად,—დამცინავის კილოთი თქვა რომაელმა.

— მერე, როგორ მიატოვეთ თქვენი სამშობლო, გული არ გწყდებათ?—ცნობისმოყვარეობით შეეკითხა ლაზი.

— ჩვენ, ჩემო კარგო, მონები ვართ. კეისარი ისე გვექცევა, როგორც მას უნდა. როცა გართობა სურს კეისარს,—ლომებსა და ვეფხვებს შეგვაჭიდებს, როცა ქვეყანას მტერი შემოესევა,—მაშინ მეომრები ვართ. თუ კეისარმა თავისი პატივისცემა უნდა დაუმტკიცოს ვინმეს,—მაშინ საჩუქრად გვაგზავნის. ჩვენმა კეისარმა, ტროიანეს მემკვიდრემ, აი ეს ხუთასი მონა უფრო იოლად გამოგვიმეტა გასაჩუქებლად, ვინემ ეს ერთი სპილო.

— ასე რომ კეისარსა და მეფეებს ხალხი არ უყვართ,—თქვა ლაზმა.

— სამაგიეროდ არც ხალხს უყვარს ისინი,—უპასუხა რომაელმა.

— მერე, ხალხი ხომ უფრო ბევრია, რატომ მაინც მეფე და კეისარი გჩაგრავთ?

— სწორედ ეგ არ ვიცი. როცა გავიგებთ, მაშინ კეისარს მოვსპობთ და ხალხი გახდება თავისი თავის პატრონი,—თქვა რომაელმა.

ნაშუადღევს ისინი ჩასხდნენ პატარა გემებში. გემები მდინარით გაემართნენ აღმოსავლეთით. ლაზიკელი კაცები, ქალები და ბავშვები მდინარის ნაპირზე იყვნენ გამწკრივებულნი. ბავშვები იცინოდნენ. უფროსები სწუხდნენ სამშობლოს გულიდან მოწყვეტილ ადამიანებზე.

გემი დინჯად მიტორტმანებდა აღმოსავლეთისაკენ. მდინარის მარჯვნივ და მარცხნივ მაღალი ტყე იყო. მოსახლეები არსად ჩანდნენ. ხოლო როცა გემი შორაპანში უკანასკნელად გაჩერდა, რომაელები და მათი სპილო კვლავ გადმოვიდნენ. შორაპანში მთაზე დიდი ციხე-სიმაგრე იყო აგებული. ციხიდან მიწაში ათასი ხვრელი იყო გაყვანილი მდინარე ყვირილამდის.

მეცხოვნე რაზმებმა რომაელები გააჩერეს და მათი ვინაობა გამოიკითხეს. რადგან ისინი მტრად არ იყვნენ მოსულნი, გზა დაულოცეს და აღმოსავლეთისაკენ გაუშვეს. ისინი მთებში მიდიოდნენ ულევის გზატკეცილით. გზა ხანდახან სოფლებშიც გადიოდა. ფერდობებზე პატარ-პატარა, კოპწია სახლები იდგა. რომაელებს განსაკუთრებით აოცებდა წითელი კრამიტით დახურული სახლები.

ისინი გზადაგზა ხვდებოდნენ ქალებს, რომლებსაც შესანიშნავი მაღალყელიანი, მოჩუქურთმებული სურები ეკავათ ხელში. გზის ნაპირებზე მაღალი სიპი კლდეებიდან თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე გადმოჩუხჩუხებდა ცივი, ანკარა წყაროები. ამ წყაროები-

[1] დასაწყ. იხ. ჟურნ. „პიონერის“ № 4.

დან მოჰქონდათ ქალებსა და ბავშვებს წყლით სავსე სურები.

რომაელ მხედრებს ყველაზე უფრო ის მაღალი ხეები აკვირვებდათ, რომლებზეც ვაზები შესულიყო. ზაფხული იყო, და ხის გრძელ ტოტებზე გასული ვაზის ყლორტები მწვანე, გრძელი მტევნებით დაყურსულიყო.

ისინი გადავიდნენ იბერიაში. აქ უფრო ხშირი იყო მოსახლეობა. ყველა განცვიფრებით უცქეროდა ამ ერთნაირად გამოწყობილ უცხოელებს, მაგრამ უფრო საოცარი იყო ეს მაღალი, მსხვილი, გიგანტი სპილო. ისინი გაკვირვებით კითხულობდნენ ამ უცხოელების მგზავრობის მიზანს და უფრო კი იმას ეკითხებოდნენ ერთმანეთს: ეს სპილო სადღა მიყავთო? მათ არ იცოდნენ, თუ იგი მათი მეფის კარზე უნდა დარჩენილიყო სამუდამოდ, როგორც ძვირფასი საჩუქარი, ადრიანე კეისრის მიერ ფარსმან მეფისადმი გამოგზავნილი.

V.

ფარსმანის სატახტო ქალაქში შემოვიდნენ სპილო და ხუთასი რჩეული მხედარი. მცხეთაში შეიქნა უჩვეულო ფაციფუცი. ზოგს მოულოდნელი თავდასხმა ეგონა. დიდებულებმა კაცები აფრინეს მეფესთან. ისინი ქოშინით მიდიოდნენ ფარსმანთან. ყველა ერთსა და იმავეს ამბობდა:

— ქალაქს უცხო მხედრები შემოესიენ. მოდიან თამამად, არც არავისი რიდი და შიში აქვთ. წინ დიდი ცხოველი მოუძღვით. უცნაურია მეტად, ვეებერთელა ფეხები აქვს. ორკუდიანია. წინ უფრო მსხვილი კუდი ჰკიდია, ვინემ უკან.

მეფე ღიმილით უსმენდა მათ. იგი დინჯად იყო, არც აღელვება ეტყობოდა.

— ჩემს ქალაქში უკითხავად მტერი ვერ შემოვა, ხოლო მოყვრებისათვის კარები მუდამ ღიაა.

ფარსმანი ამ სიტყვებს ისე ღრმა რწმენით ლაპარაკობდა, თითქოს იცოდა ვინც მოდიოდა, ხოლო ამბის მომტანნი შეოთავდნენ, მეფემ ხომ არ გვიღალატაო. ისინი გამოდიოდნენ სასახლის ეზოში და იქვე ჩერდებოდნენ. ცოტახნის შემდეგ ეზოში შემოვიდა რომაელი მხედარი. იგი პირდაპირ [illegible] კენ მოდიოდა, წარსდგა მეფის წინაშე და მოახსენა:

— რომიდან გეახელით. ადრიანე კეისარმა, ნიშნად მეგობრობისა და სიყვარულისა, მოგართვათ საჩუქრად ერთი სპილო და ხუთასი მხედარი. მიიღეთ, მეფეო, კეისრის საჩუქარი,—თქვა რომაელმა, ხელი ასწია და თავდახრილი მიესალმა იბერთა მეფეს.

ჭაღარა მეფეს ამ ძვირფასი საჩუქრის გამო სახე გაუბრწყინდა, მიესალმა და მოახსენა:

— დიდიხანია, რაც ჩვენს შორის კეთილმოყვრული კავშირია გაბმული. ჩემი და ჩემი ქვეყნის სურვილია, რომ მეგობრობა და სიყვარული ჩვენს ხალხთა შორის მომავალშიც გაგრძელდეს.

ამ სიტყვების შემდეგ ფარსმანმა ნება დართო ძღვნად მორთმეული დიდი ამალა სასახლის ეზოში შემოეყვანათ.

ეზო გაივსო რომაელი მხედრებით. სპილო თავმომწონედ დადიოდა. მეფე ამ სპილოთი უფრო იყო გახარებული.

ფარსმანმა გამართა შესანიშნავი ნადიმი. მოიწვია დიდებულები, გამოჩენილი სპასალარები. ნადიმზე ისხმებოდა ლალისფერი ღვინოები. ამბობდნენ სადღეგრძელოებს, ადიდებდნენ ერთი-მეორეს და აღტაცებით უსურვებდნენ მეგობრულ კავშირს ამ ორ სახელმწიფოს მომავალშიც.

ნადიმის შემდეგ მოაწყვეს ასპარეზობა. იყო ჯირითის შესანიშნავი სროლა. სიხარულით დაიწყო ასპარეზობა და სიხარულითვე დამთავრდა. მოასპარეზენიც ისევე ილხენდნენ და კმაყოფილნი იყვნენ, როგორც მაყურებელნი.

ასპარეზობის შემდეგ გავიდნენ სანადიროდ მცხეთიდან მტკვრის გაღმა ტყით დაფარულ მიდამოებში. უთვალავი ნადირი დახოცეს.

დიდი ნადიმი, ასპარეზობა და ნადირობა დამთავრდა. ძვირფასი საჩუქრის თანამომყოლნი ფრიად ნასიამოვნებნი დაბრუნდნენ რომში. მათ გამომშვიდობებისას სთხოვეს ფარსმანს:

— მეფეო ფარსმან, ჩვენს კეისარს ადრიანეს დიდად ჰსურს თქვენთან შეხვედრა. თქვენც უნდა მობრძანდეთ რომში. კეთილმოყვრული განწყობილება ჩვენ შორის წარუშლელი უნდა იყოს.

ადრიანე კეისრისადმი ერთგულებისათვის შვილის გამწირავი მამა პასუხისათვის ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა:

— დიდი ქვეყნის დიდ კეისარს, ტროიანეს მემკვიდრეს, ადრიანეს მოახსენე ფრიად დიდი მადლობა ამ ძვირფასი საჩუქრებისათვის. ჭაღარა მეფეს იმედი არ დამიკარგავს, დიდი სურვილი მაქვს ვეწვიო კეისარს.

VI.

ფარსმან მეფე დიდად მოემზადა, შეჰკრიბა დიდებულები და თავისი ცოლშვილით მცხეთიდან რომისაკენ გაემგზავრა.

— დიდებულო მეფე, მივდივართ, მაგრამ მივაგნებთ?—ხუმრობით იკითხა ერთმა გამყოლთაგანმა.

ფარსმანმა გაიცინა.

— თუკი რომაელებმა, ინდოელებმა და პართიელებმა იციან მცხეთის გზა, რაღა ჩვენ ვეღარ მივაგნებთ მათ ქვეყანას? მეგობარს მეგობრამდის გზა არ დაეკარგება.

მეფე დიდი ამალით მიდიოდა. მიჰყავდა ცოლი, შვილი, განთქმული მოასპარეზენი, საუკეთესო მონადირენი. მიჰქონდათ ძვირფასი საჩუქარი ადრიანე კეისრისათვის.

იშვიათი სტუმრები მიადგნენ რომს. იბერთა მისვლისთანავე გაიღო რომის კარები, და იბერიის მეფე შევიდა თავისი დიდი ამალით.

ადრიანე კეისარმა უსაზღვრო პატივისცემით მიიღო იბერიელი სტუმრები კეისართა ვეებერთელა სასახლეში.

ფარსმანმა ადრიანეს მიართვა იბერიაში მოქსოვილი ოქსინოს წამოსასხამი, ფერად ძოწეული. ეს იყო მეტად ძვირფასი საჩუქარი. კეისარს სხვაც ბევრი რამ მიართვეს.

დაისვენეს...

ინადიმეს...

შემდეგ რომის ცირკი ნახეს. ცირკის ნახვის შემდეგ ფარსმანმა ადრიანე კეისარს მიმართა:

— თქვენ ცირკის კარგი ოსტატები გყოლიათ. ახლა ჩვენი ასპარეზობაც ნახეთ.

კეისარმა მაშინვე გასცა განკარგულება, რომ იბერიელებს ასპარეზობა მარსის ველზე გაემართათ. გართობის მოტრფიალე კეისარს აბა უარს ვინ ჰკადრებდა. მათი წინაპარი კეისრები ხომ ცირკის მოყვარულნი იყვნენ, სადაც გლადიატორები ლომებს ეჭიდებოდნენ. სულ სხვანაირი იყო მათთვის იბერიული ასპარეზობა. გაეგონათ, მაგრამ არ ენახათ, ქება სმენოდათ, მაგრამ არ იცოდნენ საქებარი როგორი იყო.

მარსის ველი ხალხით გაიჭედა. საასპარეზოდ დიდი წრე იყო გამოყოფილი. წრეში პირველად მოხუცმა მეფემ შემოაგელვა ცხენი, შემდეგ მისმა შვილმა და სხვა იბერიელებმა, შეიქნა ცხენების ჭენება და ჯირითი. პირველად მეფის შვილმა ისროლა ჯირითი. მამა მოხიბლა შვილის მოხდენილმა ჯირითმა. ამალის ერთმა წევრთაგანმა, რომელიც მოხდენილი ჯირითის შურმა შეიპყრო, სადავე მარჯვენა მკლავზე შემოიგდო, გაჭრა ისარი და მეფის შვილის ისარი შუაზე უნდა გაეტეხა. ეს უცებ შენიშნა ფარსმანის გამჭრიახმა თვალმა. მან სადავე ფაფარით გადაჯინჯილებულ ცხენის კისერზე დაადო და მრისხანედ გაისროლა ისარი. მეფის ისარმა მოშურნის ისარი შუაზე გატეხა სივრცეში და ძირს ჩამოაგდო. მოშურნე მოჯირითემ მეორე ჯირითი მეფეს ესროლა კალთაში, რომელიც ლამაზად ფრიალებდა გაჭენებული ცხენიდან. ფარსმანმა უცებ წაატანა ხელი ჯირითს და კვლავ პატრონს გაარტყა წამოსასხამის კალთაში.

ადრიანე კეისარი წინ იჯდა და დაძაბული უცქეროდა ამ ჯადოსნურ ჯირითს.

ბოლოს ნაასპარეზალი იბერიელები სიცილით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

გაოცებული იყო ადრიანე, ყველანი უვნებლად და სიხარულით რომ მოდიოდნენ.

კეისარი აღფრთოვანებული ულოცავდა გამარჯვებას ასპარეზობის ოსტატებს და მეფეს მოახსენა:

— კარგია თქვენი ჯირითი, მაგრამ მეფეს ასე იოლად ვერ უნდა სტყორცნიდნენ.

ფარსმანმა ღიმილით უპასუხა:

— დიდებულო კეისარო, ჩვენში რომ მარტო ამალა ჯირითობდეს და მეფე მხოლოდ მაყურებელი იყოს, მაშინ მართლაც ერთმანეთს დახოცავდნენ.

ადრიანე კეისარი ცოტახანს ჩაფიქრდა და კვლავ მოახსენა:

— მეფის სიამოვნება მაღალია.

— მართალი ხართ, დიდებულო კეისარო, მაგრამ თქვენ წინაპარ კეისრებიდან ერთს რომ მაინც ეცადა ცირკში ლომებთან გამოსვლა, მაშინ ცირკი უფრო ადრე მოისპობოდა,—უპასუხა ფარსმანმა და თანაც დაუმატა: – მაგრამ ეს ჩვენი საქმე არაა.

ადრიანე კეისარი ფრიად მოიხიბლა ფარსმანის ასპარეზობით და გასცა განკარგულება: ცხენზე მჯდომი ფარსმანის ქანდაკება მარსის ველზე დაიდგასო. კეისრის ბრძანება მაშინვე შეასრულეს. მარსის ველი დაამშვენა იბერთა მეფის ქანდაკებამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა საყვარელი თეატრი

მაშინ 1928 წელი იყო, აპრილი.

რუსთაველის პროსპექტზე, იმ ადგილას, სადაც განცხადებებს აკრავდნენ, წითელყელსახვევიანი ბავშვები შეგროვილიყვნენ. ერთი მათგანი ხმამაღლა კითხულობდა აფიშას, სხვები უსმენდნენ.

„წავიდეთ, ვნახოთო“—ჩაილაპარაკეს ბავშვებმა, როდესაც აფიშის შინაარსს გაეცნენ.

საღამოს მართლაც ესტუმრნენ თეატრს. იქ უკვე მოეყარათ თავი პატარებს. მალე ფარდაც აიხადა. დაიწყო წარმოდგენა „ფრიც ბაუერი“.

ნორჩი მაყურებლები გულგრილად შესცქეროდნენ ახალ სანახაობას, მაინცდამაინც არ მოსწონდათ იგი. ზოგი კიდეც გაიპარა წარმოდგენიდან. ყველაფერმა უხალისოდ ჩაიარა.

ასე განმეორდა მეორე სპექტაკლზე, მესამეზეც, შემდეგაც...

ერთხელ კი აი რა მოხდა:

რეჟისორი ბ. გამრეკელი, მსახიობი გ. კუპრაშვილი, თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგე ა. თაყაიშვილი, მსახიობები: თ. ფუალიაშვილი და გ. დარისპანაშვილი

შესრულდა წარმოდგენის დაწყების დრო. თეატრში არავინ მივიდა. მსახიობები ნერვიულობდნენ. გაბრაზებულები იხედებოდნენ დარბაზში კულისებიდან. არავინ ჩანდა. ისევ იხედებოდნენ—მაინც არავინ ჩანდა. ბოლოს, დიდი ლოდინის შემდეგ, მივიდა ორი ბავშვი...

ჩაფიქრდნენ თეატრის ხელმძღვანელები, ილაპარაკეს, ითათბირეს, გაეცნენ ბავშვებს, გაიგეს, თუ რა აინტერესებდათ მათ.

და თანდათანობით იწყო გაუმჯობესება თეატრმა. მაყურებლებს უფრო უკეთესი სპექტაკლები მისცეს. ერთი ასეთთაგანი იყო „სურამის ციხე“. ახალგაზრდა დრამატურგის სიმონ მთვარაძის პიესისაგან მოზარდ მაყურებელთა თეატრის კოლექტივს მშვენიერი სპექტაკლი შეექმნა.

ნახეს პრემიერა ნორჩმა მაყურებლებმა. ძალიან მოეწონათ, რეჟისორი და მსახიობები ტაშით დაალჯილდოვეს.

შემდეგ უფროდაუფრო გაიზარდა მაყურებელთა რიცხვი. ყოველ საღამოს ივსებოდა დარბაზი. წარმოდგენების მსვლელობისას ხშირად ქუხდა ტაში, მაყურებელთა აღფრთოვანების გამომხატველი.

როლების შესანიშნავად შესრულებით კმაყოფილი ბავშვები სიყვარულით ხვდებოდნენ ნიჭიერ მსახიობებს: გოგუცა კუპრაშვილს, თამარ თვალიაშვილს, ნიკოლოზ გვარაძეს, გიორგი აბაშიძეს, გიორგი დარისპანაშვილს...

მოზარდ მაყურებელთა თეატრი უკვე საყვარელი თეატრი გახდა ბავშვებისათვის. ისინი გულისფანცქალით ელოდნენ ყოველ ახალ დადგმას.

ამ ორიოდე წლის წინ გაიგეს, თეატრი ამზადებს ახალგაზრდა დრამატურგების გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის პიესა „ნაცარქექიასო“. ნორჩი მაყურებლები ვერ ისვენებდნენ სპექტაკლის მოლოდინში.

სულ მალე ქუჩებსა თუ სკოლებში აფიშები გამოაკრეს: ამადაამ დღეს წავა „ნაცარქექიაო“. საღამოს თეატრი ჩვეულებრივზე უფრო მეტად იყო გაჭედილი მაყურებლებით.

დარბაზი ღელავდა. ხშირად გრიალებდა ტაში. „ნაცარქექიამ“ დიდი სიყვარული დაიმსახურა.

შემდეგი დადგმებიც არ ჩამორჩებოდა მას. „ადელანტე“ ყველას მოეწონა, ხოლო „ლადო კეცხოველმა“ ყველანი მოხიბლა.

ეს უკანასკნელი სპექტაკლი რამდენიმე ათასმა ბავშვმა ნახა. ჰკითხეთ მათ, თუ როგორ მოსწონთ იგი, და მხოლოდ ერთ პასუხს მიიღებთ:

„ლადო კეცხოველი“ მშვენიერია, წარმტაცი. მიმზიდველი, შინაარსიანი, მომჯადოებელი! გვიყვარს

იგი, რადგანაც აქ ჩვენ ვხედავთ იმ ბრძოლებს, რომლებსაც დიდი სტალინის სახელოვანი მეგობარი აწარმოებდა სხივოსანი მომავლისათვის; გვიყვარს იგი, რადგან აქ ჩვენ ვგრძნობთ დიდი ლენინის პირველი მოწაფის რკინის ხელს, გვიყვარს იგი, რადგან აქ სიმართლეა.

ასე ამბობენ სპექტაკლით აღფრთოვანებული ბავშვები, ამბობენ, რომ ახალგაზრდა დრამატურგებმა გ. ნახუცრიშვილმა და ბ. გამრეკელმა კარგი პიესა დაწერესო.

ამბობენ, რომ რეჟისორმა ბორის გამრეკელმა იშვიათი დადგმა მოგვცაო.

ამბობენ, რომ ნიჭიერი მსახიობები უბადლოდ ასრულებენ როლებსო.

აქ პირველად ისინი აღნიშნავენ გიორგი დარისპანაშვილს, შესანიშნავი ბოლშევიკის ლადო კეცხოველის სახის განმსახიერებელს.

შემდეგ:

გოგუცა კუპრაშვილსა და თამარა თვალიაშვილს— პატარა შალიკოს როლის შემსრულებლებს, გიორგი აბაშიძეს – ახალგაზრდა ს ტ ა ლ ი ნ ი ს როლის შემსრულებელს, ნ. მიქაშავიძეს—ვანო კეცხოველის როლის შემსრულებელს, ვ. არეშიძეს — [illegible]რუნიჩის როლის შემსრულებელს...

ბავშვები დიდად კმაყოფილნი არიან იმით, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ასეთი მშვენიერი სპექტაკლი მისცა მათ თავისი არსებობის მეათე წლის თავზე. და ფიქრობენ ისინი: „რა იყო წინანდელი წარმოდგენები და რა არის „ლადო კეცხოველი“! რა დიდი განსხვავებაა, რა დიდი მიღწევაა, რა შესანიშნავი წარმატებაა!“

ფაქტია: ათი წლის მანძილზე თეატრმა შეუდარებლად გააუმჯობესა მუშაობა, აღზარდა მთელი რიგი ნიჭიერი მსახიობები, რეჟისორები, დრამატურგები, მხატვრები, მაყურებლები...

ეს ითქვა საიუბილეო საღამოზე, რომელიც ოცდაათ აპრილს ჩატარდა თეატრის შენობაში.

ნ.-ლი.

ლიდია მეგრელიძე

სიმღერა პირველ მაისზე

სად არის ქვეყნად მაისი,
ხალხს ასე სად უმღერია!
ქუჩაც ყვავილობს, ბაღებიც,
ვარდებიც ლალის ფერია.

ცა რძისფერ-ატლასბროლება.
მიწა—ოქროს ტბა მღელვარე,—
ეს არის ჩემი სამშოპლო,
კომუნის დროშით ელვარე.

ქალაქი სასახლეებით,
ლხინით, გუგუნით, გრიალით...
სოფელი ფართე ყანებით,
მიყვარს მე მათი შრიალი.

ჩაჭკონებია ხელიხელს
ყველა ცოცხალი ძალისა,
შეხეთ კლდეებში ნაკვერჩხლებს,
მთებიც ამდგარან ხალისად,

სად არის ქვეყნად მაისი
ასე ლაღი და ნარნარი!—
ეს არის ჩემი სამშობლო,
ბელადის ზრუნვით გამთბარი.

მადლობა დიდ სტალინს

მხიარული ბავშვობისათვის!

მშობლიურ სტალინს

ვდგევარ მარტოკა... ჩემს წინ ბაღია
და სურნელოვან ჰაერით ვსუნთქავ...
აქ ქოხი იყო, მგონი, ნაღვლიან
გლეხს ბოლმით სიტყვა რამდენჯერ უთქვამს.

დღეს კი ოქროსფერ მზეზე ელავენ
თაიგულები მრავალგვარ ფერად,
და ვფიქრობ: ნეტავ ვინ შემოჰფინა
ვარდი, ვინ დარგო ია მთა—ველად?

ნეტავ ვინ მისცა მასებს ცხოვრება,
ვინ გაამთელა მშრომელთა გული,
ხალხი ბაღნარში რომ იფურჩქნება,
ვინ გააშენა ბაღი მორთული?

ვინ დაამყარა ერებში ძმობა,
ვინ არის სიბრძნით სავსე ყელამდის,
რომ შესტრფის ხალხის გული და გრძნობა?
ეს სტალინია, დიდი ბელადი!

ჩვენი ცხოვრების ბედის მჭედავი,
მებაირაღტრე ახალ ყოფისა,
ეს ვაჟკაცია გაუტეხავი,
გმირი ფოლადის ნებისყოფისა.

მან გრიგალი რომ გააპო მხრებით
და გასაჭირშიც იდგა სალივით,
შავბნელ ცხოვრების ცეცხლის მომდები,
ეს ბელადია — დიდი სტალინი.

რას გამოვგლიჯო სიტყვა მხატვრული,
პიტალო კლდეს თუ მდინარის ტალღებს,
რომ შენ შეგაქო სახელგანთქმული,
და ეშხი ჰქონდეს პოეტურ ნამღერს.

ქართლის წიაღში იშვი ბელადი,
როცა მზის სხივებს ბინდი ჰფარავდა,
მტრის ასალაგმად მეხად ელავდი,
გმირის სახელი ელვით გავარდა.

დიდხანს სიცოცხლე და სიხარული,
ძალა რომ უდგა კლდისა და სალის,
ვისაც შეჰხარის გრძნობა და გული,
კაცობრიობის ოცნებას — სტალინს!

ალექსანდრე ბეგაშვილი

სიღნაღის საშ. სკოლის VIII კლ. მოსწავლე

დიდ სტალინს

სტალინ, შენი სიმამაცით
სულ წინ მიდის ჩვენი ბედი,
სტალინ, შენ ხარ ამ ცხოვრების
ბელადი და შემოქმედი.

სტალინ, ჩვენო სიამაყევ,
საქართველოს პირმშო შვილო,
ვით ზღვის ტალღა, ისე ქროდი,
ქარიშხალში გამოზრდილო!

ვერ გაგტეხა ვერაფერმა,
მუდამ დგახარ, ვით კლდე სალი,
მთელ მსოფლიოს ბელადი ხარ,
ჩვენო გმირო, ჩვენო სტალინ!

საბჭოეთის ხალხთა გულო,
სულ წინ მიდის ჩვენი ბედი,
შენი სხივით გამთბარია
დღეს მსოფლიოს მეექვსედი.

სტალინ, ჩვენო სიამაყევ,
იყავ მუდამ, ვით კლდე სალი,
დიდ ოქტომბრის ნაპერწკალო,
ჩვენო მამა, ჩვენო სტალინ!

ირაკლი იაკობიძე

ჭიათურის პედსასწავლებლის III კლ. მოსწავლე



ეროვნული ბიბლიოთეკა

შორეულ ავსტრალიაში, მელეზიის კუნძულზე, ცხოვრობს ერთი საკმაოდ ჩამორჩენილი, ნახევრადველური ტომი – პაპუასები. „პაპუასი“ მალაური სიტყვაა და ხუჭუჭთმიან ადამიანს ნიშნავს. ეს ხალხი, როგორც თავისი ყოფაცხოვრებით, ისე საკუთარი ბუნებით, ბევრ მეტად თავისებურ და ახირებულ თვისებას ამჟღავნებს.

პაპუასების გარეგნობისათვის დამახასიათებელია: ზანგივით შავი კანი, ბრტყელი ცხვირი, ხუჭუჭა, გრძელი თმები. ტანზე ისინი არ იმოსებიან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ უცნაურ ფოჩიან ქამარს, რომელსაც პაპუასები წელზე დიდი თავმომწონებით დაატარებენ. პაპუასი თმას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მამაკაცი დედაკაცთან ერთად თავის სილამაზესა და ღირსებას თმის სიგრძით და დავარცხნილობით ზომავს. მათი საცხოვრებელი ბინის ახირებული ნაგებობა მრავალი უცხოელი მოგზაურის მხრივ გაცხოველებულ ინტერესს იწვევს. ისინი დღემდე მაღალ ხიმინჯებზე აშენებენ ქანდარისებურ ქოხმახებს. მუდმივ გამძვინვარებულ მტაცებელ მხეცთა გარემოცვაში ყოფნამ შეშინებულ პაპუასს უკარნახა თავისი ბინა წყალზე აეგო ან ხიმინჯებზე დაედგა. ხიმინჯებიანი ქოხის ნაგებობა მეტად თავისებურია მდინარის ან ზღვის სანაპიროდან 45—55 მეტრის დაცილებით ჩასობილია ხიმინჯები და მათზე აგებულია პატარა ქოხმახები, რომლებსაც კოკოსის პალმის ფოთლებისაგან დაწნული სახურავი აქვს. სახურავის ქვეშ ფიცრების გარდი გარდმო გაწყობით ქანდარებია გამართული, რაც პაპუასის სამყოფელი ბინის მოვალეობას ასრულებს. მთელი შენობა წყალზევით არის აღმართული, ისე რომ მხეცი იშვიათად თუ მისწვდება პაპუასის სადგომს.

ხიმინჯიან ქოხმახებს მრავალი სახისას აგებენ, იმის მიხედვით, თუ რამდენად დიდია ბინის ამგებთა კოლექტიური ძალა. საერთო საცხოვრებელი ბინაც თავისებურ სახეს იღებს. ზოგჯერ აგებენ საკმაოდ დიდ შენობას, შუა სადგომში გაყავთ გრძელი დერეფანი, რომლის ორივე მხარეზე პატარა სენაკებია გამართული. თვითეული სენაკი ცალკეულ ოჯახს უჭირავს.

ღარიბად და ჩამორჩენილად ცხოვრობენ პაპუასები. მათი საოჯახო ნივთებია: ბამბუკის ჭურჭლები, კოკოსის ფოთლებისაგან დაწნული ტომარა, მშვილდ-ისარი ნაჯახი, წალდი (ევროპელებისაგან ახლად შეძენილი) და სხვა.

ყველა პაპუასი წყალზევით როდი აგებს საცხოვრებელ ბინას, ზოგჯერ მაღალ ხიმინჯებზე, მიწიდან 10—12 მეტრის სიმაღლეზე, მართავენ ქოხებს. ამ სიმაღლეზე ატყორცნილი ბინები ძალიან მოგვაგონებს ჩიტის ბუდეს. ზევით შეხიზნული ადამიანთა მოდგმა მოთმინებით იტანს სიღატაკეს, სიშიშვლესა და შიმშილს. პაპუასების მთავარ საქმიანობას ნადირობა, მეთევზეობა და მიწათმოქმედება შეადგენს. მათი საყვარელი საკვები ძირხვნეული მცენარეებია. ისინი აშენებენ კოკოსისა და სხვა პალმებს, ე. წ. „პურეულ ხეებს“, რითაც იკვებებიან და კვებავენ ძაღლს, ღორს, ქათამს და სხვ.

პაპუასები მამაცი, მებრძოლი და თავისუფლების მოყვარული ხალხია. მათი რიცხვი დღეს თითქმის მილიონამდის აღწევს. მკაცრი ცხოვრების პირობებში აღზრდილნი, ისინი შეუბრალებელნი არიან მტრის წინააღმდეგ. მათი მძვინვარება ისე შორს მიდის ამ შემთხვევაში, რომ მტერს ჭამენ კიდეც შეპყრობის დროს.

პაპუასები საკმაოდ ნიჭიერი და უნარიანი ხალხია. ისინი მათ ქვეყანაში თავხედურად შეჭრილი ევროპელი თეთრკანიანებისაგან ხარბად ითვისებენ და იყენებენ კაცობრიობის ახალ მიღწევებს. პაპუასები დიდიხანია თავს დააღწევდნენ ველურ ჩამორჩენილ ყოფას, რომ ე. წ. „განმანათლებელი“ თეთრკანიანები, დახმარებისა და შველის ნაცვლად



ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველმხრივ ხელს არ უშლიდნენ და არ ჩაგრავდნენ საბრალო ჩამორჩენილ ხალხს. ევროპელები ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ, რომ გადაგვარდნენ და გადაშენდნენ ადგილობრივი მკვიდრნი, რათა მათ მდიდარ, მშვენიერ, სამხრეთის მზით გამთბარ სამშობლოს მტაცებლურად დაეპატრონონ. ვინ იცის, ე. წ. ცივილიზატორული ნიღაბით მოსილ ევროპის თეთრკანიანებს რამდენი ხალხისათვის განუმზადებიათ სიკვდილი მზაკვრული ოინებით თუ აშკარა ჯოჯოხეთური ცეცხლმფრქვეველი იარაღების მომარჯვებით, აქედან გასაგებია ის ზიზღი და მძულვარება, რასაც იჩენენ პაპუასები თეთრკანიან მტაცებელ დამპყრობელთა მიმართ.

ლ. კახიანი

ნორჩი ქიმიკოსის კუთხე

რომელია ყველაზე მსუბუქი სითხე

ამ სითხის ერთი მოცულობა წყლის ერთ მოცულობაზე თოთხმეტნახევარჯერ მსუბუქია. რა სითხეა ეს? ესაა თხიერი წყალბადი. იგი გამჭვირვალე, უფერო, ელდენის ცუდი გამტარი სითხეა. მისი დუღილის ტემპერატურა უდრის 253-ს (ნულს ქვევით). გამყარების ტემპერატურა-259-ს (ნულს ქვევით), პირველად ეს სითხე მიღებულ იქნა ფრანგ ქიმიკოს დ ი უ ა რ ი ს მიერ 40 წლის წინათ, ე. ი. 1898 წელს.

რომელ ელემენტს აქვს ნიორის სუნი

ეს ის ნივთიერებაა, რომელიც პირველად მიღებულ იქნა ალქიმიკოს ბრანდის მიერ—ფოსფორი. ნიორის სუნი აქვს მის მხოლოდ ერთ ალოტროპიულ სახეცვლილებას—თეთრ (ყვითელ) ფოსფორს. სინოტივეში ეს ფოსფორი გამოყოფს თეთრი ფერის ძლიერ მუხამავ კვამლს, რომელსაც ნიორის სუნი უდის. ეს კვამლი წარმოიშობა ფოსფორის აჭროლადობის დროს და, სხვათა შორის, შეიცავს ოზონს (ოზონი ჟანგბადის სახეცვლილებაა).

რამდენი წლისაა დედამიწა

ვენის (ავსტრია) მეცნიერებმა გერტმა და კრუპვა დაადგინეს, რომ დედამიწის ხნოვანება განისაზღვრება 1725—1800 მილიონი წლით. მეცნიერები ამ დასკვნამდის მივიდნენ მთის ქანებისა და მინერალების გამოკვლევის შედეგად. ეს ქანები და მინერალები მონახულ იქნა ვინიპეგში (კანადა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასართობი

ათი ცნება

(ლიტერატურული გასართობი)

ჩამოწერეთ ცნებები განსაზღვრული რაოდენობით. შეთანხმების მიხედვით შეიძლება აღებულ იქნას ხუთი ცნება, შეიძლება ათიც.

ვთქვათ, თამაშის მონაწილენი არიან უფროსი კლასის მოწაფეები და ისინი შეთანხმდნენ, რომ აიღონ 10 ცნება.

მაგალითად:

1. მწერალი.
2. პოეტი.
3. ფილოსოფოსი.
4. მხატვარი.
5. ლიტერატურული ნაწარმოები.
6. მცენარე.
7. ფრინველი.
8. მწერი.
9. ქალაქი.
10. მდინარე.

ეს სია იწერება მსხვილი ასოებით ქაღალდის დიდ ფურცელზე. თამაშის მონაწილენი წინასწარ შეთანხმდებიან, თუ რომელ ასოზე უნდა დაიწეროს პასუხები. (ყოველი თამაშის დაწყებისას იღებენ სხვადასხვა ასოს).

ვთქვათ, შეთანხმდნენ ასო „რ"-ზე. თამაშის მონაწილენი ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად შეავსონ პასუხებით ყველა ათი სტრიქონი.

აი როგორ პასუხებს იძლევა თამაშის ერთერთი მონაწილე.

1. როლანი.
2. რუსთაველი.
3. რუსო.
4. რაფაელი.
5. რობინზონ კრუზო.
6. რცხილა.
7. როჭო.
8. რწყილი.
9. როსტოვი.
10. რიონი.

ყოველ სწორ პასუხზე ჩაეთვლებათ ორი ქულა, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი პასუხი სხვასაც არა აქვს, და თუ ის სხვასაც აღმოაჩნდა—ერთი ქულა. უმჯობესია პასუხები რაც შეიძლება სწრაფად დაიწეროს და ხმამაღლა იქნას გამოცხადებული, რომ დანარჩენებმა შეაჩერონ წერა.

თამაში უნდა ჩატარდეს 5 ან 10 ასოზე, ე. ი. 5 ჯერ ანდა 10 ჯერ. გამარჯვებული იქნება ის, ვინც ყველაზე მეტ ქულას შეაგროვებს.

საოცარი ციფრები

$$1\times9+2=11$$
$$12\times9+3=111$$
$$123\times9+4=1111$$
$$1234\times9+5=11111$$
$$12345\times9+6=111111$$
$$123456\times9+7=1111111$$
$$1234567\times9+8=11111111$$
$$12345678\times9+9=111111111$$
$$123456789\times9+10=1111111111$$

$$1\times8+1=9$$
$$12\times8+2=98$$
$$123\times8+3=987$$
$$1234\times8+4=9876$$
$$12345\times8+5=98765$$
$$123456\times8+6=987654$$
$$1234567\times8+7=9876543$$
$$12345678\times8+8=98765432$$
$$123456789\times8+9=987654321$$

ამოცანა-გამოცანა

მეზობელს ქუდის ყიდვა უნდოდა, ფული არა ჰქონდა. მივიდა ერთ მეზობელთან და უთხრა:

—მასესხე იმდენი ფული, რამდენიც ჯიბეში მაქვსო. ასესხა.

მეორე მეზობელთან მივიდა, უთხრა:

—მასესხე იმდენი, რამდენიც ჯიბეში მაქვსო. ასესხა.

მესამესთან მივიდა:

—მასესხე იმდენი, რამდენიც ჯიბეში მაქვსო. ასესხა.

მეზობელს 60 მანეთი შეუგროვდა. იგი წავიდა ბაზარში და ქუდი იყიდა. რამდენი მანეთი ჰქონდა პირველად ჯიბეში?

გ. ლომთათიძე

ფასი 50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სვლით



ამ დაფაზე დალაგებულია შაშის ცხრა ქვა. ყველა ქვა შეიძლება მოიკლას ერთი ქვით. როგორ უნდა გაკეთდეს ეს?

ლეონიდ ესვანჯია

ფოთი, პირველი საშუალო სკოლა.